ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

46 (10084) •24 noemberi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

დაბრუნებული მიგრანტების დახმარების პროგრამა

თუ ხართ უცხოეთიდან ახალდაბრუნებული და საჭიროებთ დახმარებას, ან გსურთ სანდო ინფორმაციის მიღება უცხოეთში გამგზავრების შესახებ, ეს ინფორმაცია თქვენთვისაა:

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისია საქართველოში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ახალდაბრუნებული მიგრანტების დახმარებას. პროექტი სამწლიანია და ფინანსდება ევროკავშირის მიერ.

პროექტის მიზანია საშშობლოში დაბრუნებულ მოქალაქეების დახმარება, რათა მათ მოახდინონ წარმატებით რეინტეგრაცია და არ იფიქრონ ხელმეორედ მიგრაციაზე. პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ მოქალაქეებს, რომლებიც უცხოეთში იმყოფებოდნენ არანაკლებ 1 წლისა.

დახმარება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. კერძოდ, ჩვენს ორგანიზაციაში ხდება მიგრანტის საჭიროებების განსაზღვრა და ამის მიხედვით, მისთვის შეიქმნება დახმარების პაკეტი. ძირითადი კომპონენტები, რაშიც მოქალაქეებს ვეხმარებით, ეს არის: 1) თავშესაფრით უზრუნველყოფა; 2) სამედიცინო დახმარება (იმ კომპონენტებზე, რაც საყოველთაო დაზღვევით არ ფინანსდება); 3) პროფესიული მომზადება/გადამზადება; სამუშაო იარაღების შეძენა და 4) მცირე ბიზნესის დაწყებაში ხელშეწყობა.

ასევე, ჩვენს ცენტრში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სანდო ინფორმაცია ლეგალური მიგრაციის შესახებ; კერძოდ, რა მოლოდინები უნდა ქონდეთ უცხოეთში მუშობა/ცხოვრებასთან დაკავშირებით, როგორ შეარჩიონ დამსაქმებელი, იცოდნენ ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ, ინფორმაცია უცხოეთში სწავლის, ვიზების შესახებ და ბევრი სხვა საკითხი. ეს ყველაფერი დაეხმარებათ მოქალაქეებს მომზადებულები გაემგზავრონ უცხოეთში.

მობილურობის ცენტრები განთავსებულია საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, თელავსა და ბათუმში. მოქალაქეს სურვილისამებრ შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ცენტრს.

ბათუმში მობილურობის ცენტრის მისამართია:

ფარნავაზ მეფის №63.

ბათუმი, 6010, აჭარა, საქართველო

ტელ: (0422) 22 88 83

მგლებმა მთისპირში სოფლის ცენტრისკენ გადმოინაცვლეს

მთისპირელები კიდევ ერთ უცნაური ცხოველის გამოჩენაზე წუხან

გაზეთი „ალიონი“ რამდენიმე წელია წერს სოფ. მთისპირში მტაცებელი ცხოველებისაგან სოფლის მოსახლეობის შევიწროების შესახებ. შარშანწინ ტყეში დათვი დაესხა თავს უკანავას უბანში მცხოვრებ მარკოიძეს და მძიმედ დააზიანა. წელს, გაზაფხულზე დათვი სოფლის განაპირას, ბენტონიტური თიხის კარიერთან დაესხა თავს უკანაველ ჯემალ შავაძეს და სხეულის დაზიანება მიაყენა. უკვე წლებია, სოფლის განაპირა უბნებში (უკანავა, ვანისქედი, დელემური, თოფურიათი) ნადირმა მოსახლეობას გაუწყვიტა თხები, ღორები. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აქაურები საძოვარზე მორიგეობით დარაჯობენ.

ამჯერად მგლები სოფლის სიღრმეში შევიდნენ. როგორც ამ დილით გაზეთ „ალიონის“ რედაქციას აცნობეს, წუხელ მგლებმა სოფლის ცენტრთან ახლოს თემურ წყავზარაძის ძროხა დაგლიჯა. წინა დღეებში დათვი უკანავაში, სერგო ინწკირველს ეზოში დღისით „ესტუმრა“ და მაკე ღორი დაუგლიჯა.

კიდევ ერთ უცნაური ცხოველის გამოჩენაზე წუხან მთისპირლები. იგი ფოცხვერს ჩამოჰგავს, რომელმაც 17 და 18 ნოემბერს 20-მდე სული ინდაური, იხვი გაუნადგურა ე.წ. წარმოების დასახლებაში მცხოვრებ რუსუდან გუჯაბიძეს.

მთისპირელები ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვენ.

„გურულები გაკუჭდებიან (გაბრაზდებიან) და დღეიდანვე გამრავლებაზე იზრუნებენ“

სახელისუფლო გუნდის ვიზიტი გურიაში

ალიონი. საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის ინიციატივით, გრძელდება სახელისუფლო გუნდის ვიზიტი საქართველოს იმ 6 რეგიონში, სადაც, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის პრემიერის ინიციატივა – მესამე და შემდეგი შვილის ფულადი დახმარება.

20 ნოემბერს, სახელისუფლებო გუნდი, საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, სტეფანწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის **დიმიტრი ხუნდაძის,** მისი მოადგილის, მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატის მირიან წიკლაურის და საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარის **თამარ ჩიბურდანიძის** შემადგენლობით, ოზურგეთს ეწვია და ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გამართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. სტუმრებთან ერთად, შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის (გუბერნია), ქალაქ ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს, გურიის სამივე რაიონის გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლები ასევე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი **ზვიად კვაჭანტირაძე.**

შეხვედრა გახსნა ქალაქ ოზურგეთის მერმა **ბეგლარ სიორიძემ,** რომელმაც მადლობა გადაუხადა: სტუმრებს – ჩამობრანებისთვის და მასპინძლებს – გამოჩენილი ინტერესისა და შესაფერისი დახვედრისათვის (იგულისხმება სავსე დარბაზი).

შეხვედრის მთავარმა მომხსენებელმა დიმიტრი ხუნდაძემ მადლობას მასპინძლებისადმი გამოხატული მადლობითვე უპასუხა, განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია ქ. ოზურგეთის მერის მრჩეველი **სოფო ჭანტურია,** რომელმაც, ხუნდაძის თქმით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ შეხვედრის ორგანიზებაში.

ბატონმა დიმიტრიმ დამსწრეთ გააცნო საქართველოში არსებული სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა, ის, რომ საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით მე-16 ადგილზეა 200-ზე მეტ ქვეყანას შორის... რომ, თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა 1 700 000 ადამიანით შემცირდება, რაც გამოიწვევს ამერკავკასიის ქვეყნებში ჩვენთვის სავალალო დისბალანსს, რადგან მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანში მოსახლეობის მატების დიდი ტენდენცია შეინიშნება... რომ 1 500 000 ადამიანი საზღვარგარეთაა გახიზნული... რომ 158 სოფელში 8-10 ადამიანი ცხოვრობს... რომ საქართველოში 2012 წელს 40 000 აბორტი გაკეთდა... რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამადაც დღეში 150-მდე აბორტი კეთდება... რომ წინა ხელისუფლება არ ასავალოებდა დემოგრაფიის

გვ-3

დავით შავლიაშვილმა სოფელ შემოქმედში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

ოზურგეთში, სოფელ შემოქმედში, მდინარე ბეჟუჟზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 8 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის დამცავ კედელს აშენებს. 2014 წლის სექტემბერში, მდინარე ბეჟუჟის ადიდების შედეგად, გზის სავალი ნაწილი დაზიანდა. სტიქიამ მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტში ასრებულ ინფრასტრუქტურას 3 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ზარალი მიაყენა. დღეს, სოფელ შემოქმედში, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით შავლიაშვილი პირადად გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. 2014 წელს ქვეყანაში მოსხდარი სტიქიის შემდეგ, სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინტენსიური მუშაობის შედეგად, სოფლების - შემოქმედისა და ნატანების გზის ჩანგრეული მონაკვეთების სრულფასოვნად აღდგენა, რამდენიმე დღეშივე მოხერხდა. ნაპირდამცავი სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, გადადგილება სრულიად უსაფრთხო იქნება.

სოფელ შემოქმედში, მდინარე ბეჟუჟის კალაპოტში 400 მეტრის სიგრძისა და 6 მეტრის სიგანის რკინა-ბეტონის დამცავი კედელი შენდება და კონსტრუქციის 4 მეტრი წყალქვეშ იქნება მოქცეული. პროექტის ფარგლებში, 100-მეტრიანი გაბიონის მოწყობაც მიმდინარეობს. გაფართოვდა და გაღრმავდა მდინარის კალაპოტი, ამჟამად მიმდინარეობს 36 ცალი 10-ტონიანი ტეტრაპოდის განლაგება. სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ახორციელებს.

2014 წლის სექტემბერში მოსხდარი სტიქიის შემდეგ, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონებში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით, 6 მილიონი ლარი გამოიყო. გურიაში უკვე მოეწყო ორი მილ-ხიდი, რომელიც ერთმანეთთან სოფლის ორ ნაწილს აკავშირებდა და მდინარე ნატანების ადიდების შედეგად ჩაინგრა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ახალი მილ-ხიდები (მდინარეში ჩაიდგა ლითონის წყალგამტარი მილები), ასევე, გაკეთდა ხიდთან მისასვლელი გზა, რომლითაც გურიის 7 სოფლის, დაახლოებით, 5500 მოსახლე და მათი სტუმრები სარგებლობენ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
24.11	25.11	26.11	27.11	28.11	29.11	30.11
მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	ღრუბელი	წვიმა	წვიმა,	წვიმა	წვიმა,
+5+11	+6+12	+7+13	+7+14	+7+13	+5+8	+3+8

საკრებულოს ხელმძღვანელობის სამი ინიციატივა და ბიუჯეტის პროექტში საზოგადოებრივი დარბაზის მიერ დანახული შუქ-ჩრდილები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „საზოგადოებრივი დარბაზის“ 18 ნოემბრის სხდომის ბჭობის საგანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი იყო და ამდენად იგი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა.

დარბაზობის პროლოგშივე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მშენებლობების მოსაკრებლებში ისეთი სტატისტიკა წარმოადგინა, რომელსაც გულდაგულ რომ მიჰყვე, შესაძლოა, კორუფციის დიდ საბუდარს გადაეყარო.

კვერღელიძის თქმით, იმის გამო რომ მშენებლობებზე არ ხდებოდა მოსაკრებლების ამოღება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2-3 მილიონ ლარს ჰკარგავდა, ეს იმ დროს, როცა, მაგალითად, ურეკში მშენებლობების ბუმი იყო. აქვე გაირკვა, რომ როცა კანონით საკურორტო ზოლში მშენებლობის მოსაკრებლის რაოდენობა განსაზღვრულია 1-დან 5 ლარამდე ერთ კვადრატულ მეტრზე, საკრებულოს დადგენილებით ახდევინებდნენ მხოლოდ 1 ლარს.

ურეპლიკო დარბაზი აბა, რა დარბაზია: - ეს ოფიციალურად, არაოფიციალური კი გასაკვეიაო, - ითქვა იქვე.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოსთავკაცებმა დავით დარჩიამ და დიმიტრი კვერღელიძემ განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ბიუჯეტი ვერ არის მთლად კარგი მთავარი საფინანსო დოკუმენტი, – უმჯობესია ინფრასტრუქტურაზე იყოს მიმართული, – მომავალი წლის ბიუჯეტში ვერ ავცდებით სოციალური პრობლემების პრიორიტეტულობას, რადგან მოსახლეობას ვერ დავტოვებთო სოციალურ გასაჭირშიო.

წარმოდგენილ პროექტზე ლოგიკური შენიშვნები გამოთქვეს არასამთავრობოებმა. საია-სა და სდგკ-ს წარმომადგენელთა თქმით, ეს პროექტი შორსაა პროგრამული ბიუჯეტიდან და გამგეობას მეტი მოეთხოვება თითოელი პუნქტის კონკრეტიზაციისთვის.

საკრებულოს წარმომადგენლობითი რგოლის ხელმძღვანელები დარბაზის წინაშე გამოვიდნენ სამი ინიციატივით:

1) ბიუჯეტში შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის მიზნით, შემოღებულ იქნას მშენებლობებზე ახალი მოსაკრებელი დიფერენცირებულად, ქალაქის, დასახლებული პუნქტებისა და საკურორტო ზონისათვის;

2) მოქალაქეს, რომლის სარეიტინგო ქულა 1700-ზე მეტია, მაგრამ აუცილებლად ესაჭიროება სოციალური დახმარება, ნაცვლად 100 ლარისა, მომავალი წლის ბიუჯეტიდან მიეცეს 150 ლარი;

3) უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ, მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულოს დასახლებულ პუნქტში მცხოვრებს იმ სტუდენტს, რომელიც მიიღებს 100%-იან სახელმწიფო დაფინანსებას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წლის განმავლობაში გადაეცეს 3000 ლარი, ხოლო მის სკოლას 1000 ლარი.

„საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრებმა სამივე ინიციატივას მხარი დაუჭირეს.

ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 24 ნოემბერს შედგეს ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რომელზეც მოწვეული იქნებიან დაბებისა და სოფლების წარმომადგენლები.

ოზურგეთში გენდერის მედიაცენტრი გაიხსნა

ალიონი. შაბათს, 22 ნოემბერს, 12:00 საათზე, ოზურგეთში, გაზეთ "გურია ნიუსის" ოფისში (მის: ქალაქი ოზურგეთი, ჭავჭავაძის №4) გაიხსნება გენდერის მედიაცენტრი.

გენდერის მედიაცენტრების გახსნის ინიციატორი არის „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის". ცენტრების გახსნის მიზანია მოხდეს არჩევნებში ჩართული მხარეების, მათ შორის მოსახლეობის, ინფორმირება გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკურად გაძლიერების მექანიზმების და მნიშვნელობის შესახებ.

გენდერის მედია ცენტრში მოსახლეობას, მედიას, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, გენდერის და არჩევნების, კონკრეტული ქალი კანდიდატების საარჩევნო პროგრამების და აქტივობების, მედიაში გენდერული თანასწორობის და ქალთა საკითხების გაშუქების სტანდარტების და წესების შესახებ.

ცენტრი ასევე დახმარებას გაუწევს პარლამენტის და საკრებულოს ქალ წევრებს, ლიდერ ქალებს, გენდერულად მგრძნობიარე პარტიებს და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს სხვადასხვა ტიპის შეხვედრების ორგანიზებასა და მედიასთან ურთიერთობაში.

ცენტრის ორგანიზებითა და ინიციატივით გაიმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის გაძლიერების და არჩევნებში ჩართული მხარეების კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე. 24 საათის განმავლობაში იმუშავებს მედიაცენტრის ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ პირს შეეძლება მედიას, მიაწოდოს ინფორმაცია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ან გენდერული ძალადობის ფაქტების შესახებ.

გენდერის მედიაცენტრები საქართველოს 8 ქალაქში გახსნება. ცენტრებს უხელმძღვანელებენ რეგიონში მოქმედი წამყვანი მედია საშუალებები და მათი წარმომადგენლები. მედიაცენტრები იხსნება პროექტის „ერთად გენდერული თანასწორობისათვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის" „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის" მხარდაჭერით.

ზურაბ ჩხაიძე ქედაში ხილის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებს

ქედაში ხილის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება. მშენებლობის დასაწყებად, სიმბოლური კაფსულის ჩადების ცერემონიაში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

საწარმო, რომლის მშენებლობისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში 500 000 აშშ დოლარი გამოიყო, 701,44 კვმ ფართობზე განთავსდება და 22 ადამიანს დაასაქმებს. საწარმო გადაამუშავებს ადგილობრივ ნედლეულს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩაიბარებს.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფოს მხარდაჭერასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობას საქართველოში სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ქარხნის ამოქმედების პირველ წელს დაგეგმილია 230 ტონა ნედლეულის გადამუშავება, ხოლო მომდევნო წლებში მაჩვენებელი 1000 ტონამდე გაიზრდება.

საწარმოს კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა" აშენებს, რომლის დამფუძნებელი ასკანელი ზურაბ ჩხაიძეა.

დრო ფერებს ახუნებსო?!

ჩვეულებრივად წარმოსათქმელი სახელი და გვარი:

ენვერ გოგუაძე! ვიცი, რომ ბევრს გაგახსენდებათ, ბევრიც, დღეებთან და წლებთან ერთად გაიცნობთ! თუმცა, სანამ ენვერის შესახებ სტრიქონს ჩემეულად ავკინძავ, გრიგოლ რობაქიძის შეგონებას შემოგთავაზებთ:

გსურს გაიგო, ვინ ხარ?
უნდა შეიგნო, ვინ იყავი!
გინდა იქცე რამედ?
უნდა შეიგრძნო, რა განვლე!
საითკენ? – მიზანმხვედრია მაშინ,
თუ ესეც იცი – საიდან?
ისტორია არის არა მარტო
ხსოვნა წარსულისა –
იგი თანვე ქმედითი მონაწილეა
მომავლისა!

ეს სტრიქონები რომ გავიაზროთ, რამდენჯერმე ღრმად და სულისეულად უნდა წავიკითხოთ!

ახლა თქვენ მოგმართავთ, თქვენც, ვინც ენვერს ცხოვრებისეულად, განწყობით, პირადი ურთიერთობით თუ სხვათა საქმეებით იცნობდით: დაინახეთ გრიგოლ რობაქიძის ფილოსოფიურ სტრიქონებში ბევრი ოზურგეთელისათვის მისაბაძი ენვერ გოგუაძე?

მე ეს სტრიქონები ყოველთვის ენვერის მაგონებენ!

ის იყო პიროვნება, რომელმაც იცოდა, რატომ მოვიდა ამ ქვეყნად, ვინ იყო, რა ევალებოდა და რა სურდა!

მე არ ვისაუბრებ ენვერის საოცრად მრავლისმთქმელ ბიოგრაფიაზე, მას გავიხსენებ, თითქმის, როგორც



თანატოლს, რომლის გზები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მაშინდელმა რაიონულმა გაზეთმა „ლენინის დროშა", „ალიონი" ერთმანეთს თავისებურად დაუკავშირა.

ორივე ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდით (მე ორი კურსით წინ). მე ჟურნალისტობაზე მეოცნებე ისტორიკოსი ვიყავი! ენვერი? – სულით და ხორცით, გააზრებით, სიღრმით, შინაარსით, განწყობით – მხოლოდ და მხოლოდ ისტორიკოსი!

მასში პროფესორები დიდი მომავლის მქონე პროფესიონალს ხედავდნენ (ბატონმა ვარლამ დონაძემ კათედრაზე დარჩენაც შესთავაზა).

ენვერი ოზურგეთში ხედავდა დაუნახ დასანახს. აქ იყო მისი ფესვები. მშობლიური კუთხისკენ უხმობდნენ ეკლესია-მონასტრების ნანგრევები, მამა-პაპათა ნაფეხურები და ძვალთშესალაგი...

თაობებისთვის უნდოდა გაეცნო რანი ვიყავით, რას გავუძელით, რა გადავიტანეთ...

როცა საგაზეთო სტატიებს რედაქციაში მოიტანდა დასაბეჭდად, პირველად ჩემი სამუშაო ოთახის კარებს შემოაღებდა... ამ წვევით სტუდენტობის დროინდელ წლებსაც გავიხსენებდით, გურული ჩვევით მეტყოდა, რაზე ეჩურჩულა ასკანის ციხე, აჭის ეკლესია...

როცა მას ვესაუბრებოდი, მის სტატიებს ვკითხულობდი, ბევრჯერ უხერხულობაც მიგრძნია – მე ისტორიკოსი მქვია?

არა, მე დიპლომი მქონდა ამ სპეციალობით!

ენვერი კი, სულით, გულით, სტატიებით ნაღდი ისტორიკოსი იყო!

მის წერილებში საქართველოს წარსული სუნთქავდა, კვნესოდა, ამაყობდა, ტიროდა, მღეროდა...

ენვერის, თითქოს, წერის სხვა სტილი ჰქონდა!

მართლაც ყველასგან განსხვავებული იყო მისი საუბარი, ლექსის კითხვის, წერის, თამადობის სტილი...

უზომოდ შეყვარებული პიროვნება!

დრო ფერებს ახუნებსო! – ენვერისნაირები დრომ ვერ უნდა გაახუნოს!

ენვერისნაირებს ხომ ბუნება იშვიათად იმეორებს.

ეთერ ქადეიშვილი

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გაზეთი „ალიონი" – ყოველი ოზურგეთელის ოჯახის უცვლელი წევრი!

მადლობა

ყურადღების, გულისხმიერებისა და დახმარებისათვის მადლობა ვუხდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ქალბატონ ხათუნა სურგულაძეს.

ეთერ მგალობლიშვილი.

„გურულები გაკუჭდებიან (გაბრაზდებიან) და დღეიდანვე გამრავლებაზე იზრუნებენ“

სახელისუფლო გუნდის ვიზიტი გურიაში

საგანგაშო სტატისტიკას... მანვე ისაუბრა ამ სფეროში ბოლო დროს განხორციელებულ პროექტებზე, რომელმაც უკვე 2013 წლიდან უმნიშვნელოდ, მაგრამ დადებითად შეცვალა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან დედებისთვის მესამე და შემდეგი შვილის ფულად დახმარებაზე ბარში 150 ლარის, მთაში კი 200 ლარის ოდენობით, ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში განხორციელებულ სხვა პროექტებზე, რომელმაც ცალსახად ხელი შეუწყო ნეგატიური დემოგრაფიული ფონის პოზიტივში გადაყვანას. აქვე გაახმიანა ერთი სასიამოვნო კონკრეტული ფაქტი, რომ ერთ-საქართველოს ერთ მაღალმთიან სოფელში მალე სამი ტყუპი გაჩნდება და მათი დედა მიიღებს 600 ლარს ყოველთვიურად ორი წლის განმავლობაში.

თამარ ჩიბურდანიძემ კი კონკრეტულად გურიის დემოგრაფიული მდგომარეობა მიმოიხილა. 2012 წლის მონაცემებით, სამწუხაროდ, გურია მეორეა რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ იმ ექვს რეგიონს შორის, სადაც სიკვდილიანობა აღემატება შობადობას, რაიონებს შორის შესაბამისი სტატისტიკა ასეთია: -81 ჩოხატაურში, -125 ლანჩხუთში და -182 ოზურგეთში. ჩიბურდანიძის თქმით, განსწავლულობაში, კულტურაში, სპორტში, ხელოვნებაში და განსაკუთრებით იუმორში ლიდერობას შეჩვეული ფიცხი გურულები ვერ აიტანენ დემოგრაფიაში აუტსაიდერობას, გაკუჭდებიან (გაბრაზდებიან) და დღეიდანვე გამრავლებაზე იზრუნებენო.

შეხვედრაზე მაჟორული ნოტი შემოიტანა ბატონმა მირიან წიკლაურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხელისუფლებასა და საქართველოს მოსახლეობას ეყოფა გონიერება და თანდათანობით გამოიყვანენ ქვეყანას ამ განსაცდელიდან.

სტუმრებმა და მასპინძელთა უმრავლესობამ ვაუკაცურად გაუძლეს გლობალური დათბობის საპირისპირო მოვლენას – თეატრის დარბაზის გამყინვარებულ მიკროკლიმატს. ვინც ვერ გაუძლო და შეხვედრა დამთავრებამდე დატოვა, იმათზე ბატონმა დიმიტრი

ხუნდაძემ იხუმრა: ვხედავ, დარბაზი შეთხელდა, ეტყობა, მართლა გაბრაზდნენ და გასამრავლებლად წავიდნენო.

შეხვედრის მოკლედ შეჯამების შემდეგ, ზვიად კვაჭანტირაძემ თქვა: ოზურგეთის თეატრის შენობის განახლებაზე, დაპირების შესასრულებლად, ალბათ, ერთი შეხსენება კიდევ დასჭირდება და პრობლემა მოგვარდებაო. მერე სტუმრებს მიუბრუნდა ხუმრობით: ჭავები თუ იცით რა არისო. მგონი, თირკმლებიაო, გამოიცნეს სტუმრებმა. ჰოდა, სანამ თირკმლები და სხვა რეპროდუქციული ორგანოები გაყინვია ამ ხალხს, დღეს ამით დავამთავროთ ეს შეხვედრაო.

სახელისუფლო გუნდის რეგიონული შეხვედრები მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში განხორციელებული წარმატებული პროექტების შესახებ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლები

ალიონი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად შედგენილი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად ქალაქის მერმა, ბატონმა ბეგლარ სიორიძემ და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა გასული კვირის პარასკევს, 21 ნოემბერს წარმოადგინეს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7424,1 ათასი ლარით, მათ შორის: გადასახადები – 350,0 ათასი ლარით; ქონების გადასახადი – 350,0 ათასი ლარით, აქედან საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 269,7 ათასი ლარით; ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი – 20,0 ათასი ლარით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – 17,6 ათასი ლარი (ფიზიკური პირებიდან – 12,0 ათასი ლარი, იურიდიული პირებიდან – 5,6 ათასი ლარით); არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე – 42,7 ათასი ლარით (ფიზიკური პირებიდან – 20,0 ათასი ლარით, იურიდიული პირებიდან – 22,7 ათასი ლარით).

გრანტები – 6313,1 ათასი ლარით. გათანაბრებითი ტრანსფერი – 6252,1 ათასი ლარით (2014 წელთან შედარებით 529,0 ათასი ლარით მეტი); მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 61,0 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლები – 761,0 ათასი ლარით, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 65,5 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია – 475,5 ათასი ლარით; ჯარიმები, სანქციები და საურავები – 200,0 ათასი ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 20,0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი 7424,1 ათასი ლარია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება – 3888,5 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება – 1560,8 ათასი ლარი; სუბსიდიები – 914,6 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფა – 242, 3 ათასი ლარი; სხვა ხარჯები – 313,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 124,5 ათასი ლარი; ვალდებულების კლება – 380,0 ათასი ლარი.

პროექტში წარმოდგენილია ასევე 2015-2018 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ბიუჯეტის საჯარო განხილვაში მონაწილეობდნენ ქალაქის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელები, თანამშრომლები, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის წარმომადგენლობისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების სპეციალისტები.

საკმაოდ საინტერესო დებატების შემდეგ, პრეზენტატორებმა განაცხადეს, რომ პროექტის საბოლოო ვარიანტში აუცილებლად პოვებს ასახვას საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გელა კობალაძემ კი იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოადგენენ ისეთ შეჯერებულ პროექტს, რომელიც მისაღები იქნება ოზურგეთელთათვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტის 2015 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის ჩასწორებულ პროექტს საჯაროდ დღეს განიხილავენ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში

ალიონი: „დღევანდელი ჩვენი შეხვედრა და ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ეს პროექტი ძალიან შორს არის იმისაგან, რაც უნდა მივიღოთ სინამდვილეში. არ უნდა გავაგრძელოთ ისეთი მიდგომები, როგორიც წინა ხელისფლების დროს წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ბიუჯეტთან დაკავშირებით ახალი მიდგომებია საჭირო და აუცილებელი. ამიტომ, გთხოვთ, თქვენი შენიშვნები, წინადადებები წერილობით მოგვაწოდოთ. ვიმედოვნებ, გამგეობის შესაბამისი სამსახური, ბატონი გია მამაკაიშვილის ხელმძღვანელობით, თითეული ჩვენგანის ჩართულობით, განსახილველად წარმოგვიდგენს ისეთ პროექტს, რომელიც საბოლოოდ მიიღებს პროგრამული ბიუჯეტის სახეს. – განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **დიმიტრი კვერღელიძემ** საკრებულოს 19 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე, სადაც მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საბიუჯეტო თემაზე გამართულ დებატებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, რომლებმაც ითხოვეს ბიუჯეტში აუცილებლად გაითვალისწინებინათ თავიანთი სოფლებისა და დაბების ის ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემები, რომლებიც სხდომაზე გააჟღერეს.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა **გია მამაკაიშვილმა** განაცხადა, შეეცდებიან ბიუჯეტის პროექტში მაქსიმალურად გაითვალისწინონ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები.

ბიუჯეტის საბოლოოდ ჩასწორებულ პროექტს საჯაროდ დღეს განიხილავენ ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში.

სხდომამ დაამტკიცა საკრებულოს განკარგულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“; ცვლილებები შეიტანა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №3 განკარგულებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ასევე საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №14 განკარგულებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შესახებ“. მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გადი, გამოდი „გუთანო“!

ქეთი ბოლქვაძე,
სალომე ცომაია

ალიონი. *„ქართული ენა ლაზარე“ - ასე ჰქვია ფილმს, რომელიც 17 ნოემბერს, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გადამღებმა ჯგუფმა ადგილობრივ ახალგაზრდებს უჩვენა.*

როგორც ფილმის პრეზენტარორმა ზვიად სეხნაშვილმა „ალიონთან“ საუბარში განაცხადა, შემოქმედებითი ჯგუფის მიზანი იყო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, ჩვენი ერის უდიდესი საგანძურის – ქართული ენის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება კინემატოგრაფის საშუალებით:

„ქართული ენა ლაზარე“ ის ფილმია, რომელიც ყველა ქართველმა უნდა ნახოს როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. მოხარული ვარ, რომ დარბაზში მყოფ მყურებელს სეანსის დასრულებამდე თვალი არ მოუშორებია ეკრანისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ფილმის შემქმნელების ჩანაფიქრს ჩაწვდნენ, მიზანს შეურთდნენ. ანალოგიური მისითი „გუთანი“ სხვა რეგიონებშიც გასწევს“, – გვითხრა ბატონმა ზვიადმ.

სტუდია „გუთანს“ გურულების დედაქალაქში მასპინძლობა ქალაქ ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახურმა გაუწია. სამსახურის ხელმძღვანელის მარინა ჯაფარიძის თქმით, „გუთანის“ ეს ფილმი სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობისაა:

„გუთანის“ ეს საქმიანობა ნამდვილად სახელმწიფოებრივი და ეროვნული მისიაა. მაგრამ მხოლოდ გუთნის გაწევას აზრი არ ეწება, თუ ღირღიტამ ბანი არ უთხრა. ღირღიტის ფუნქცია კი ოზურგეთელმა ახალგაზრდებმა იკისრეს და კარგადაც გართვეს თავი. იმის თქმა მინდა, რომ მოვალეობის მოხდის მიზნით არავინ იყო მოსული. ამ ფილმის ნახვით ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაითავისეს თუ რა ფესვები აქვთ და ვისი ტოტისა არიან.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ბატონებს – ზვიად სეხნაშვილსა და ვანო ჯაფარიძეს ამ არაჩვეულებრივი ფილმის ჩვენებისთვის. ვიმედოვნებ, რომ ეს არ იყო „გუთანთან“ და მის შემოქმედებით ჯგუფთან პირველი და ბოლო შეხვედრა“;

შაიბა და ჰოკიჯოხები ჩვენზე იყოს

ალიონი. *თუ რომელიმე ბიზნესმენი ოზურგეთში საზამთროდ ყინულზე საციგურაო ინვენტარს შემოიტანს, სავარაუდოდ, 500 წყვილზე მეტს აქვე, № მეორე საჯარო სკოლაში გასაღებს სარფიანად. საქმე ისაა, რომ სამ წელზე მეტია სკოლის წინამდებარე ქუჩა თითქმის მთელ პერიმეტრზე იტბორება აქ გამავალი წყალსადენის მილიდან გამოყოლილი წყლით (ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, აქ წყალი და ფეკალური მასა ერთმანეთში ირევაო). ბუნებრივია, ზამთრის უარყოფითი ტემპერატურების დროს დატბორილი ტერიტორია იყინება და თითქმის საციგურაო მოედანს ემსგავსება, სადაც ხან მოსწავლე ეცემა, ხან მასწავლებელი, ხან მშობელი და ხანაც სხვა ქვეითად მოსიარულე. ჰოდა, ამთვან რომელი ერთი დაიხვევს უკან, რომ მოლიპულ გზაზე უკეთეს შემთხვევაში კიდურები, უარესში კი კისერი არ მოიტეხონ.*

საციგურაო ინვენტარის შემოტანისა და შეძენის მსურველებო, ისე, რომ იცოდეთ, მედიასაშუალებები ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე წინა წლებში, წინა ხელისუფლებების დროსაც წერდნენ, მაგრამ ყური არავის გაუპარტყუნებია. ვერ გეტყვით, რას იზამს ქალაქის ახალი ხელისუფლება, მაგრამ მასთან საქმის ჩასწყობად, რომ წყალსადენის ეს მონაკვეთი ამ ზამთარში მინც დატოვონ შეუკეთებელი, „ალიონის“ რედაქცია ნამდვილად არ გამოგადგებათ.

მინც შემოტანასა და შეძენას გირჩევთ. თუ გაგიმართლათ და არაფერი შეიცვალა, ჰო კაი, თუ არადა – ჰო კეი! ჰო, ჰოკეი! შაიბისა და ჰოკეჯოხების დამტება დაგჭირდებათ? ჩვენზე იყოს.

სპორტი

ოზურგეთის სასპორტო სკოლის კალათბურთელთა გუნდის II საპრიზო ადგილი ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე

გურულებმა ერევნისა და ფოთის გუნდები დაამარცხეს

ქეთი ბოლქვაძე

14-16 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 2002-2003 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ ბაქოს, ერევნის, ბათუმის, ფოთისა და ოზურგეთის სასპორტო სკოლების გუნდები. კარგად იასპარეზეს ოზურგეთელმა კალათბურთელებმა, რომლებმაც დამაჯერებლად დაამარცხეს ერევნელი და ფოთელი თანატოლები და დაძაბულ ორთაბრძოლაში დამარცხდნენ მასპინძელ ბათუმის ძლიერ გუნდთან. ამ შედეგით ოზურგეთელი კალათბურთელები საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორები გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ხუთ საუკეთესო კალათბურთელთა შორის დაასახელეს ოზურგეთელი ნოდარ ლომინაძე, რომელიც დაჯილდოვდა საპატიო პრიზით. ასევე სასიხარულოა, რომ ტურნირზე ყველაზე მეტი ზუსტი სამქულიანი ტყორცნა ოზურგეთელმა თორნიკე მახარაძემ განახორციელა.

ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე ოზურგეთის სასპორტო სკოლის ღირსებას იცავდნენ: თორნიკე მახარაძე, ნოდარ ლომინაძე, ლაშა ვასაძე, გეგა გოგიბერიძე, დათო მდინარაძე, ლუკა ნაკაიძე, ლაშა ჯანელიძე, სერგო გეწაძე (ყველა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა), საბა სიხარულიძე (ნასაკირალის საჯარო სკოლა), გიორგი კაპანაძე (ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა), ამირან ესაძე (წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია) ლუკა ტრაპაიძე (ბახვის საჯარო სკოლა) და ზურა თოიძე (მერიის საჯარო სკოლა). მწვრთნელი აზა მჟავანაძე.

ქ. ოზურგეთისა და სოფლების საჯაროს სკოლების პირველობა მძლეოსნობაში

15 ნოემბერს ქ. ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ქ. ოზურგეთისა და სოფლების საჯაროს სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. 1999-2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა №1, №2, №4, №5, ვაკიჯვრის, ცხემლისხიდის, მაკვანეთის, შემოქმედის, მერიის, ასკანის, დვაბზუს, გურიანთის, ჭანიეთის, ბახვისა და ძიმითის საჯარო სკოლები.

100 მეტრზე რბენა. გოგონებში: I ადგილი ელენა ტოლსტოვა, №4 საჯარო სკოლა; II ადგილი ნატო არაშიძე გურიანთის საჯარო სკოლა; III ადგილი – ნინო ქავჟარაძე გურიანთის საჯარო სკოლა.

100 მეტრზე რბენა. ვაჟებში: 1. დავით გოი, მაკვანეთის საჯარო სკოლა; 2. გიორგი ბარამიძე ვაკიჯვრის საჯარო სკოლა; ტიტო ლიპარტელიანი, გურიანთის საჯარო სკოლა.

400 მეტრზე რბენა. გოგონებში: 1. ნატო არაშიძე, გურიანთის საჯარო სკოლა; 2. ნინო ქავჟარაძე, გურიანთის საჯარო სკოლა; 3. გვანცა ჩაჩუა, ჭანიეთის საჯარო სკოლა.

400 მეტრზე რბენა ვაჟებში: დავით გოი, მაკვანეთის საჯარო სკოლა; ტიტო ლიპარტელიანი გურიანთის საჯარო სკოლა; დავით ამირიანი, ჭანიეთის საჯარო სკოლა.

სიგრძეზე ხტომა, გოგონებში: ელენე ტოლსტოვა, №4 საჯარო სკოლა; 2. ნატო არაშიძე არაშიძე, გურიანთის საჯარო სკოლა; 3. ნინო ქავჟარაძე გურიანთის საჯარო სკოლა.

სიგრძეზე ხტომა. ვაჟებში: 1. დავით გოი, მაკვანეთის საჯარო სკოლა; 2. ზურაბ კაკაურიძე №4 საჯარო სკოლა; 3. დავით ამირიანი, ჭანიეთის საჯარო სკოლა.

ბირთვის კვრა. გოგონებში: 1. ნანი პაკელიანი, ძიმითის საჯარო სკოლა; 2. მეგი ზოიძე, გურიანთის საჯარო სკოლა; 3. თეკლა წიტაიშვილი, საჯარო სკოლა.

ბირთვის კვრა. ვაჟებში: 1. დავით გოი, მაკვანეთის საჯარო სკოლა; 2. ბაჩი დუმბაძე, მაკვანეთის საჯარო სკოლა; 3. ლუკა ტატურაშვილი გურიანთის საჯარო სკოლა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებითა და დიპლომებით, ხოლო საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები – შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

ღონისძიების ჩატარებას ხელმძღვანელობდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა და ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

აღნიშნულ ღონისძიებას სტადიონის დირექცია მომზადებული შეხვდა.

მურმან დუნდუა

პოემია

რამ აიძულა

რამ აიძულა გალაკტიონი:
რამ აიძულა?!
ცხვრების კარი ასე ჯუქურად
რად გაიხურა?!
რატომ დაიწყო მან ლოთობა
დაფიქრდით ერთი?!
მარტონი დარჩნენ დუნიაზე
ისა და ღმერთი.

გამაკრიტიკეთ

მკითხველო, ნუღარ გამიბრაზდები,
შენგან კრიტიკას ველი,
გამაკრიკიკეთ, მე ყაბულსა ვარ,
ოღონდ არა მკრათ ხელი.

ველოდი და არ გასწორდა
ველოდი და არ გასწორდა,
ბოღმისაგან გასკდა გული
ღარიბს ბატის ნახარში და
მდიდარს ძველი ინდაური.

აახმიანე

აახმიანე, ერო, ფესვები,
მკრთალ დებულებებს ნუ მისცემ ადგილს,
ქართველი კაცის ადათ-წესები
მართლმადიდებლურ მცნებებში გადის.
ვერავის დავსჯით
ჩვენ, ჩვენი სიკვდილით
ვერავის დავსჯით,
რადგან ჩვენ ხვედრი
ასეთი გვერგო
სიკვდილის დასჯა სიკვდილით
მხოლოდ იესომ შეძლო.

რჩევა

შენ უნდა გახდე ტაძარი
შენი სულისა, წმინდისა!
- ეს არის აღთქმა მთავარი
და რჩევა ჩვენი უფლისა,
და მაშინ შექმნი ცხოვრებას
ლაღსა და საწადს გულისას.

ლიხაურის სპორტსკოლის პირველობაზე

დამთავრდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის ლიხაურის განყოფილების პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც 50 სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: 20კგ - საბა ხურციძე, 23კგ - ლუკა დოლიძე, 26კგ - ავთო მამალაძე, 29კგ - კოტე ცეცხლაძე, 32კგ - გიორგი ქათამიძე, 35კგ - დათო ჭაღარიძე, 38კგ - ვაკო ხურციძე, 50კგ - დილარ სარიშვილი, 24კგ - გიორგი მოქია, 58კგ - ლუკა ზაქარიაძე, 63კგ - ლაშა სალუქვაძე, 69კგ - ვაჟა გოთუა, რომელთაც გადაეცათ საჩუქრები და პირველი ხარისხის დიპლომები.

ასევე დაჯილდოვდნენ 2014 წლის განმავლობაში საქართველოს პირველობაზე და საერთაშორისო ტურნირებზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამარჯვებული ჭაბუკები: ირაკლი ძიმისტარიშვილი, რობინზონ ესაძე, რომან ლომინაძე, საბა ცეცხლაძე, ლუკა ზაქარიაძე, ანზორ ხურციძე, ავთო მამალაძე, ვაჟა გოთუა, ბორის ტულუში.

ხსოვნა

დრო უფრო ამძაფრებს ტკივილს!

ათი წლის წინ სრულიად საქართველო შეძრა შემზარავმა ტრაგედიამ, რომელმაც 23 წლის ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეიწირა. – ოზურგეთს ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერი მოუკვდა!

ვახო ხურციძე საწუთროდან რომ წავიდა, ათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც იგივე სიმწვავით გრძელდება მისი მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეული უსაზღვრო ტკივილი, უნაპირო სევდა და უსაშველო მონატრება!..

ათი წელია დიდი ტკივილი აერთიანებს უამრავ ადამიანს, ვისთვისაც უმძიმესი დანაკლისია ამ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი კაცის გარდაცვალება.

ბევრი რამ შეიცვალა ათი წლის მანძილზე, მაგრამ, ვახოს დანატოვარ მოგონებებს დრომ ვერ უცვალა ფერი. – სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით, ხალასი იუმორით, სიცოცხლის წყურვილით სავსე და მარად ახალგაზრდა დარჩა ჩვენს ხსოვნაში.

დიდი საქმეებისათვის მოწოდებულ ახალგაზრდას უამრავი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. მაღალი ადამიანური ღირსებების მქონეს, ყველასაგან გამორჩეულს, ყოველთვის სხვებზე მზრუნველს და მუდამ მოუსვენარს ურთიერთობის გასაოცარი ნიჭი ჰქონდა. – ამით იყო მისი ყოველი მოქმედება გადამდები, მისაბაძი და სამაგალითო. ადრე წავიდა, მაგრამ, მაინც ბევრი მოასწრო და მოსაგონებლად დაგვიტოვა მის მიერ გაღებული უანგარო სიკეთე.

წლები გადის, მაგრამ კვლავ გაუსაძლის ტკივილად რჩება ვახოს არყოფნა ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის!..

ამ გაუსაძლისი ტკივილით იცოცხლა ათი წელი ვახოს მამამ, -თემურ ხურციძემ!

გულმა ვეღარ გაუძლო უსაზღვრო ტკივილს და წავიდა ამ ქვეყნიდან ნათელი კაცი, რომლის სახელიც შვილთან ერთად სამარადისო ხსოვნაში დაივანებს!

ყველასათვის დაუვიწყარ მამა-შვილს უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი!

გოჩა ჭანიშვილი.

ალეკო ხომერიკი

ჩემთვის უსაყვარლესო ძმისშვილო, ალეკო! მინდა, რომ შენი ბავშვობა გავიხსენო და სწორედ ეს სურათი მოვნახე – სუფთა, ლაღი, სიცოცხლით სავსე თვალები. ბევრი, ბევრი ვკოცნე და ვეფერე ამ სურათს. ნეტავ იმ დროს, როცა ამხელა იყავი და მზე გვირგვინად გედგა თავზე. ჟამთა სვლა ვერ დამავიწყებს შენს თავს, ვერ გამინელებს შენს სიყვარულს, ჩემო ალეკო. ჩემს გულს გულში ხარ და დარჩები ყოველთვის.

მამიდა **იზო.**

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ლენა, ძმა ამირანი, შვილები პაატა და ლუბა, რძალი ფიქრია, სიძე დათო, შვილიშვილები ალექსანდრე, თეონა, ბაია, გიორგი, მეგობრები და ახლობლები იუწყებიან **გურამ (გური) ბურჯულაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, სოფელი გომი.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის, კაცური კაცის **ზოთა ანდღულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლამარა თავდიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძიმითის საჯარო სკოლის პედაგოგის, ყოფილი თანამშრომლის **ზოთა ანდღულაძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სოფელ ნაგომრის ჟანაურის უბნის უახლოესი მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ **მიტუშა ირიდის ძე ლიპარტელიანის** გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე